ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6270375

ნომერი: AR1942020

თარიღი : 27.12.2022

გაცემის თარიღი : 29.12.2022

გაცნობის თარიღი : 30.12.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თავისუფლების ქუჩა, N 14ბ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ცქიტიშვილი , N35-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ კალაძე პ/ნ 01010015517
- ქ. თბილისი, მირიან მეფის #29

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს

ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ №5458988 გადაწყვეტილებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც მოხდება არქიტექტურული პროექტის შემუშავება, გაცნობებთ, რომ პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას, რის შესაბამისადაც სამსახური ამ პროექტისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი ღობის მშენებლობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.